განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ეკონომიკა

## მაგისტრატურა

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 09.11.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 22.12.2021

თბილისი 2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ეკონომიკა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა (Master of Economics) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ეკონომიკის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0311 ეკონომიკა |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | პროგრამა აკრედიტირებულია, აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №472 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **მარინა ჩავლეიშვილი** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, | **რუსუდან სეთურიძე** |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| ქვეყანა) | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ეკატერინე მიქელაძე**<br>დამსაქმებელი, დამოუკიდებელი აუდიტორი, ბლექ ანდ ვიჩ სფეშელ პროჯექტს კორპის ფილიალი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **თამთა ცხოვრებაძე**<br>შპს შავი ზღვის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **თამარ თავხელიძე**<br>შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სტუ-ს ეკონომიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №472 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია. ამჯერად, პროგრამა წარმოდგენილია ახალ აკრედიტაციაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამის კომპონენტი მოიცავს 120 ECTS, მათ შორის, სასწავლო კომპონენტი - 80 ECTS და კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 40 ECTS. კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ეკონომიკის მაგისტრი (Master of Economics) .

პროგრამაზე დღეის მდგომარეობით არის 33 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია განმახოციელებელი პერსონალით (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ლექტორი). პროგრამაში სულ ჩართულია 30, მ.შ. 27 აკადემიური პერსონალი აფილირებულია სტუ-თან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ აკრედიტაციის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 9 ნოემბერს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom პროგრამული პლატფორმის მეშვეობით. ვიზიტამდე, 2021 წლის 5 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ორგანიზებით, Zoom-ის მეშვეობით, შედგა ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეკრება. შეხვედრაზე, წარმოდგენელი დოკუმენტაციის, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ვიზიტის დღეს ინტერვიუს პროცესში დასაზუსტებელი აუცილებელი კითხვები.

2021 წლის 9 ნოემბერს, სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით 09:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, სუდენტთა სამუშაო სივრცე, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება ვიდეო ჩართვის საშუალებით, ასევე, ჩართვა და ინტერვიუ შედგა „ეკონომიკური პროცესების მოდელირების“ ლაბორატორიიდან და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის (ინტერვიუს) განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამის თითოეული სტანდარტის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ:

- **პირველი სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
- **მეორე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტი 2.2 მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
- **მესამე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
- **მეოთხე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
- **მეხუთე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

**სტანდარტი 2, კომპონენტი 2.2**

- „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“ გახდეს სავალდებულო კურსი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**სტანდარტი 2, კომპონენტი 2.1**

- მაგისტრანტობის კანდიდატისთვის წინასწარ იყოს ცნობილი სპეციალობაში შიდა გამოცდის საკითხების ჩამონათვალი ჩასაბარებელი სასწავლო კურსების შესაბამისად. სასურველია აღნიშნული საკითხების ჩამონათვალი თან ახლდეს ტსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ საგანმანათლებლო პროგრამას.
- სასურველია უნივერსიტეტს წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებს კონკურსანტს.

**სტანდარტი 2, კომპონენტი 2.2**

- კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან, ასევე სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხო ენაზე“ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სასურველია განხილულ იქნეს როგორც არჩევითი სასწავლო კურსი.
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რათა სტუდენტისთვის პროგრამის საშუალებითაც ნათელი გახდეს დაცვის წინაპირობა.
- სასურველია გაიზარდოს სპეციალობის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა, მაგალითად, დაემატოს კურსები „სტატისტიკური ანალიზის მეთოდები“, „აგრარული ეკონომიკა“, „კეთილდღეობის ეკონომიკა“, პრაქტიკული კურსი „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში“ და სხვა, რომელსაც მიიჩნევს შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი დეპარტამენტი.
- კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს კვლევითი პროექტი (5 ECTS) და აღნიშნული ცვლილების შესაბამისად გადანაწილდეს კვლევითი კომპონენტის კრედიტები.

**სტანდარტი 2, კომპონენტი 2.3**

- განახლდეს დამატებითი ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ეკონომიკური განვითარება“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ და გამოყენებული იყოს უახლესი ქართულენოვანი (სტატიები, მონოგრაფიები....) და უცხოენოვანი ლიტერატურა.
- დაკორექტირდეს არჩევით სასწავლო კურსის „საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ბაზარზე“ სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა. კურსი ფართო სპექტრით უნდა ასახავდეს კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომელიც თავისთავად განიხილავს ანალიზს საქართველოსთან მიმართებაში.

**სტანდარტი 2, კომპონენტი 2.4**

- უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს (გარკვეული ფინანსების გათვალისწინება ამ მიმართულებით) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას და სტუდენტების ჩართულობას კვლევებში.
- სასურველია მომზადდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

**სტანდარტი 4 კომპონენტი 4.2**

- გაძლიერდეს მხარდაჭერის მექანიზმები აკადემიური პერსონალის კვლევითი მიმართულებით განვითარებისთვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ბონუსების (წახალისების) სისტემა. უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები ახდენენ აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის შეფასებას და დაგროვილი ქულების შემთხვევაში გაიცემა ბონუსი (სახელფასო დანამატი).
- ფაკულტეტზე ახლად შექმნილი გრანტების ოფისი, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტები. ოფისი ეხმარება ყველა დაინტერესებულ პირს (პერსონალს, სტუდენტს) საგრანტო პროექტების მომზადებასა და მის წარდგენაში, შესაბამისი წყაროების მოძიებაში და სხვა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საგანმანათლებლო პროგრამაში, აკრედიტაციის მიღებიდან დღემდე, განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები და მოხდა მისი მოდიფიცირება, კერძოდ:

- ✓ დაკონკრეტდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- ✓ გადამუშავდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსები: შინაარსი, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, გაიწერა შუალედურისა და დასკვნითი გამოცდის საათები, განახლდა ლიტერატურა;
- ✓ პროგრამის სტრუქტურაში აისახა არჩევითი სასწავლო კურსები (მოდიფიცირებამდე არ იყო ასახული);
- ✓ პროგრამას დაემატა არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსები, დაზუსტდა სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩამონათვალი. ამჟამად, კურიკულუმში ასახულია 14 სავალდებულო სასწავლო კურსი და 13 არჩევითი სასწავლო კურსი.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზანია მაგისტრანტს მისცეს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებით აღსავსე, ინოვაციებზე დამყარებული თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის განმახორციელებელი, დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარების მქონე, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური ეკონომიკის მაგისტრების მომზადება, რომელთაც ექნებათ: მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, თანამედროვე ეკონომიკური თეორიების, ეთიკური ეკონომიკის, ცოდნის ეკონომიკის, ეკონომეტრიკის, მენეჯერული ეკონომიქსის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, საერთაშორისო ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა და შეძლებენ ორიგინალური თეორიული და ეფექტიანი პრაქტიკული იდეების შემუშავება-განვითარებას, უცნობ ან მულტიდისციპლინარულ გარემოში წარმატებულ საქმიანობას.<br><br>პროგრამის მიზნები მკაფიოა, ლოგიკური და თანმიმდევრული, დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია. პროგრამის შეთავაზებას განაპირობებს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები. წარმოდგენილია შრომის ბაზრის ანალიზი როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში.<br><br>პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, აგრეთვე, ამ უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობა და შრომის ბაზრის მოთხოვნებში ცვლილებების კვალდაკვალ პროგრამის განვითარება.<br><br>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ ადასტურებს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც გამოიხატებოდა ანკეტა-კითხვარის საშუალებით დაინტერესებული მხარეების გამოკითხვით, მაგისტრატურის პროგრამის კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის შეკრებებში მონაწილეობით.<br><br>პროგრამის და მისი მთავარი მიზნების შემუშავების დროს გათვალისწინებულია ადგილობრივი და უცხოეთის ცნობილი უნივერსიტეტების გამოცდილება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენლი ადგილობრივი და უცხოეთის უნივერსიტეტების ელ. |

მისამართების მითითებით.

წარმოდგენილია ადგილობრივი და უცხოეთის უნივერსიტეტიდან დარგის სპეციალისტების (პროფესორების) დადებითი შეფასებები.

2012 წელს დამტკიცებული (აკრედიტირებული) და შემდგომში მოდიფიცირებული ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია, იგი განთავსებულია საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სიციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატაგიული განვითარების გეგმა 2018-2024. http://social.gtu.ge/uploads/files/strategiuli_ganvitarebis_gegma/strategiuli_ganvitarebis_gegma.pdf?lang=ge
- სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024. https://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024_01.pdf
- სამაგისტრო პროგრამა, ფაკულტეტის ვებ-გვერდი: http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/mag/ekonomika_mag_geo.pdf
- დარგის სპეციალისტთა გამოხმაურებები და ანალოგიური პროგრამები (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №8);
- შრომის ბაზრის კვლევა (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №8);
- სტუ-ს ვებ-გვერდი https://gtu.ge/
- ინტერვიუს შედეგები (ხარისხის მართვის სამსახურის, ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ეკონომიკის წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებსაც მაგისტრანტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუებიდან დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია პროგრამის სამუშაო ჯგუფის მოსაზრებები, შრომის ბაზრის კვლევის, გარე შეფასების, დამსაქმებლებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

პროგრამის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო დონეს, კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა შეიძინოს კომპეტენციები, რომლებიც მიღწევადია, გაზომვადი, რეალისტური და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი. პროგრამაში ჩამოყალიბებულია შედეგები განსაზღვრავს კურსდამთავრებულის უნარებს და ცოდნას, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, კერძოდ,

- ✓ **განიხილავს** ეკონომიკის თეორიის განვითარების კანონზომიერებებს, ეკონომიკურ პრობლემებს მიკრო-მაკრო დონეზე, მათ გამომწვევ მიზეზებს, ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს;
- ✓ მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, თანამედროვე ეკონომიკური თეორიების, ეთიკური ეკონომიკის, ეკონომეტრიკის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, საერთაშორისო ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე **კრიტიკულად აანალიზებს** მულტიდისციპლინარულ გარემოში წამოჭრილ პრობლემებს;
- ✓ **განსაზღვრავს** უახლეს ცოდნაზე დამყარებული კვლევების როლს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;
- ✓ **შეიმუშავებს** ინოვაციურ, ახალ, ორიგინალურ იდეებს;
- ✓ **ადგენს** კავშირს თეორიას, კვლევასა და პრაქტიკას შორის;
- ✓ კვლევის მეთოდების და ეკონომეტრიკის ცოდნას **იყენებს** საზოგადოებისთვის აქტუალური ეკონომიკური საკითხების შესწავლისათვის;
- ✓ უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, **დამოუკიდებლად ახორციელებს** კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, პროექტების (რეფერატების) და სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად;
- ✓ საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს **წარადგენს,** როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;
- ✓ **დამოუკიდებლად წარმართავს** საკუთარი სწავლის პროცესს არსებული ცოდნის გაღრმავების, დაგეგმვის გზით, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში.

ვინაიდან, სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში არის არჩევითი სასწავლო კურსი და მასზე

დიდწილად არის დამოკიდებული სწავლის შედეგების მიღწევა, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონლად მიიჩნია, რომ იგი გახდეს სავალდებულო კურსი (რეკომენდაცია გაცემულია სტანდარტში 2.2.). აღნიშნული გამოიწვევს შედეგების რუკის ინდიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად ასახავს სწავლის შედეგების პროცესს, ინდიკატორებსა და შეფასების გეგმას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. მოიცავს შეფასების შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს, მისი საშუალებით დგინდება, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი შეფასება მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). აღნიშნული მეთოდით მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგს. არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

**წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ პერიოდულად მიმდინარეობს სტუდენტების კმაყოფილების კითხვარის შევსება,** რომელიც ანონიმურია და ივსება ელექტრონულად, ასევე, ხდება ლექტორების შეფასებაც სტუდენტები აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს, შეფასებებს რეაგირებისთვის განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო მონიტორინგს სტუდენტთა მოთხოვნების შესრულებაზე ახორციელებს ადმინისტრაცია.

სწავლის თითოეული შედეგისათვის პროგრამას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები. ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან შედარება. ამ პროცესში მონაწილეობას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები. აგრეთვე, პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას ახორციელებს სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია.

**როგორც თვითშეფასების ანაგრიშიდან, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, დაწესებულებამ უკვე განახორციელა წარმოდგენილი მექანიზმებით მოქმედი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს უკვე შეფასებული პროგრამის შედეგები და შესაბამისი ანალიზი.**

**წარმოდგენილ აღწერილობებზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგების მექანიზმი არის თანმიმდევრული, კომპლექსური და პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული.**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები შეფასების გეგმა, (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტი, დანართი №4);
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შდეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგი, სამიზნე ნიშნულები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №4);
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, (იხ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-05-04/26, 23.09.2019; (იხ. პროგრამის თანდართული

| |
|---|
| დოკუმენტი, დანართი №3);<br>○ სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №2691, 27.12.2017).<br>○ სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/; http://social.gtu.ge/?lang=ge.<br>○ ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეკონომიკა“ ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებითა და მაგისტრატურის დებულებით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის და პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად. მაგისტრატურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაზე მიღებას. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. სტუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ხორციელდება სამაგისტრო გამოცდის/გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br>მაგისტრანტობის კანდიდატთა ხელშეწყობისა და სტუდენტთა მობილობის მიზნით, სტუ-ში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი; ბ) სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში; გ) იმ პირისათვის, რომელმაც გადალახა შესაბამისი ზღვარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში.<br>სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან: **საერთო სამაგისტრო გამოცდა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდა/გამოცდებისაგან.** 2020 წელს პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი იყო 45.<br>**საერთო სამაგისტრო გამოცდის** ჩატარების ფორმა წერილობითია ტესტის მეშვეობით, რომელიც შედგება ოთხი ნაწილისგან: ა) წაკითხულის გააზრება; ბ) ანალიტიკური წერა; გ) ლოგიკური მსჯელობა; დ) რაოდენობრივი მსჯელობა. მაგისტრანტობის კანდიდატი სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის **უფლებას მოიპოვებს** იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის **ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.**<br>მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება |

ფაკულტეტის, სამაგისტრო პროგრამის მითითებით, აგრეთვე შემდეგი საბუთები:

- პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
- აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი და მისი ასლი, ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და მისი ასლი;
- ფოტოსურათი 4 ცალი ზომით 3x4 სმ და CD დისკი;
- მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
- მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შეფასებები (ამონაბეჭდი სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდი – www.naec.ge);
- სტუ-ის სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ქვითარი.

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად მაგისტრანტობის კანდიდატმა, ასევე, **სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (32 ქულა 100-დან). სპეციალობაში შიდა** გამოცდის ტესტების ნიმუშები ერთი თვისთ ადრე უნდა განთავსდეს სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. გამოცდების შედეგები ქვეყნდება ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. პრეტენზიის არსებობისას მაგისტრანტობის კანდიდატი საპრეტენზიო განცხადებას წარადგენს სტუ-ის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში. საპრეტენზიო განცხადებები განიხილება სტუ-ის მიერ შექმნილ საპრეტენზიო საბჭოზე. საბოლოო შედეგები ქვეყნდება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

**აპლიკანტი ასევე, გადის უცხო ენაში გასაუბრებას. კანდიდატი არ გაივლის გასაუბრებას** უცხო ენაში **თუ იგი წარმოადგენს** უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ცოდნის დამადასტურებელი **სერტიფიკატს არანაკლებ B2 დონისა ან B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დოკუმენტს ან თუ** დამთავრებული აქვს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უცხოურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპლიკანტი გაივლის გასაუბრებას უცხოურ ენაში (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ) ფაკულტეტზე შექმნილ დროებით კომისიასთან.

**წარმოდგენილი მასალებითა და განხორციელებული ინტერვიუს შედეგებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.**

**სტანდარტის აღნიშნულ ნაწილში კომისიის წევრების მიერ გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები, რომელიც უკავშირდება უცხო ენის B2 დონის ცოდნის შეფასების კრიტერიუმებს. დაწესებულებამ, კომისიის წევრთა მოთხოვნით, დამატებით წარმოადგინა სტუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე უცხოური ენების გასაუბრების (გამოცდის) B2 დონე შეფასების კრიტერიუმები, რომელიც იყო გაზომვადი და გამჭირვალე, კერძოდ, გასაუბრება ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: საუბრის მოდულით და ტესტი, რომელიც ითვალისწინებს კითხვის, წერის კომპეტენციებს, ასევე, განიხილება ესეის შეფასებაც. მთლიანობაში უცხო ენა ფასდება მაქსიმალური 20 ქულით.**

**წარმოდგენილი დოკუმენტაციით, განხორციელებული ინტერვიუს საფუძველზე და მაგისტრატურის დებულებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი, მაგისტრატურის შიდა გამოცდების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე, საგამოცდო ტესტის ნიმუშებს განათავსებს ვებ-გვერდზე. თვითშეფასების ანგარიშში და პროგრამაში ზუსტად არ არის განსაზღვრული რომელი სასწავლო კურსის მიჯნაზე ხდება ტესტების მომზადება. თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ტესტები შედგენილია**

| |
|---|
| **კომბინირებულად და მოიცავს კურიკულუმით გათვალისწინებულ რამოდენიმე სავალდებულო სასწავლო კურსის შინაარსს. გამოდინარე აქედან, სასურველია მაგისტრანტობის კანდიდატმა წინასწარ იცოდეს არა სავარაუდო ტესტის ნიმუშები, არამედ, სასწავლო კურსების შესაბამისად საკითხების ჩამონათვალი, რომლის საფუძველზე განხორციელდება ტესტების შედგენა.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;<br>○ სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №2691, 27.12.2017).<br>○ მაგისტრატურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები, სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადმიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133;<br>○ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/studentta_kont_form_130219_SD.pdf<br>○ ინტერვიუს შედეგები (ხარისხის მართვის სამსახურის, ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>➢ მაგისტრანტობის კანდიდატისთვის წინასწარ იყოს ცნობილი სპეციალობაში შიდა გამოცდის საკითხები ჩასაბარებელი სასწავლო კურსების შესაბამისად. სასურველია აღნიშნული საკითხების ჩამონათვალი თან ახლდეს ტსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ საგანმანათლებლო პროგრამას.<br>➢ სასურველია უნივერსიტეტს წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებს კონკურსანტს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამაში არსებული კომპონენტების შინაარსობრივ მხარეს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და მაგისტრატურის საფეხურის შესაბამის დონეს. პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამის კომპონენტი მოიცავს 120 ECTS, მათ შორის, **სასწავლო კომპონენტი** - 80 ECTS და **კვლევითი კომპონენტი** -40 ECTS. კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვით. სასწავლო კურსები შესაბამისი კრედიტებით განაწილებულია სემესტრების შესაბამისად, კერძოდ,

- ✓ **პირველი სემესტრი** - 6 სავალდებულო სასწავლო კურსი: „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“, „აკადემიური წერა“, „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“, „მიკროეკონომიკა II“, „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ქცევის ეკონომიკა“ (სულ 30 კრედიტი);
- ✓ **მეორე სემესტრი** - 6 სავალდებულო სასწავლო კურსი: „ცოდნის ეკონომიკა“, „მაკროეკონომიკა II”, „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა”, „ეკონომეტრიკა II“, „მენეჯერული ეკონომიქსი“, „ეკონომიკური განვითარება“ (სულ 30 კრედიტი);
- ✓ **მესამე სემესტრი** - 2 სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი (10 ECTS): „საერთაშორისო ეკონომიკა II“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ და 2 არჩევითი სასწავლო კურსები (10 ECTS ), მათ შორის, „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“.
- ✓ **მეოთხე სემესტრი** - სამაგისტრო ნაშრომი (40 ECTS).

წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან,

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები და პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, კერძოდ,

- ✓ გადამუშავდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსები: შინაარსი, საკონტაქტო (შემცირდა) და დამოუკიდებელი (მოიმატა) მუშაობის საათები, გაიწერა შუალედურისა და დასკვნითი გამოცდის საათები, განახლდა ლიტერატურა;
- ✓ დაკონკრეტდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- ✓ პროგრამის სტრუქტურაში აისახა არჩევითი სასწავლო კურსები (მოდიფიცირებამდე არ იყო ასახული);
- ✓ ეტაპობრივად განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც გამოიხატებოდა არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსების დამატებასა და გადანაწილებით, კერძოდ, პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები: „გეოეკონომიკა“, „უცხოური ინვესტიციები“, „ეკონომეტრიკა II“, „ეკონომიკური განვითარება“, „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“, „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“; „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ქცევის ეკონომიკა“, „საერთაშორისო ეკონომიკა II“ და „მენეჯერული ეკონომიქსი“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)“, „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა“, „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“;
- ✓ დაზისტდა სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩამონათვალი და წარმოდგენილ კურიკულუმში ასახულია 14 სავალდებულო სასწავლო კურსი და 13 არჩევითი სასწავლო კურსი (მ.შ. სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში), რომელთაგან მაგისტრანტმა უნდა აირჩიოს 2 სასწავლო კურსი (10 ECTS).

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო-კვლევითი კომპონენტები თანამიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული, დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგემილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის შესაბამისად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა ხელმისაწვდომია და საჯარო დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია სტუ-ს ვებ-გვერდზე: http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/mag/ekonomika_mag_geo.pdf

აღნიშნული სტანდარტის ნაწილში ექსპერტთა ჯგუფმა მნიშვნელოვნად მიიჩნია სამაგისტრო პრაქტიკის სავალდებულო სასწავლო კურსად განხილვა. პროგრამის მიზანში გამოკვეთილია, რომ იგი ახდენს „.... პრაქტიკული მუშაობის უნარის მქონე კონკურენუნარიანი და მაღალკვალიფიციური ეკონომიკის მაგისტრის მომზადებას....“, ასევე, სწავლის შედეგში მითითებულია: „ადგენს კავშირს თეორიას, კვლევასა და პრაქტიკას შორის“. სტუდენტებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პრაქტიკის არჩევით კურსად განხილვა სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა, რათა სტუდენტს შესაძლებელობა მისცემოდა არჩევანი გაეკეთებინა სასწავლო კურსების სასარგებლოდ. აღნიშნული არგუმენტი ექსპერტთა ჯგუფისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი, ვინაიდან, სწავლის შედეგებზე პროგრამის გასვლა პრაქტიკის კომპონენტის გარეშე არ იქნებოდა რელევანტური. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები უნდა შედგებოდეს ისეთი კომპონონტებისაგან, რომლებშიც გაძლიერებული იქნებოდა პრაქტიკული სიმულციებისა და ანალიზის ნაწილი. სილაბუსების განხილვის შედეგად აღნიშნული კრიტერიუმები გამოკვეთილად არ დაფისირებულა. კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა სამაგისტრო პრაქტიკის განხორციელების აუცილებლობა. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“ გახდეს სავალდებულო კურსი.

ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ ჩათვალა რჩევების მიცემა სამაგისტრო ნაშრომის

წინაპირობასთან დაკავშირებით. პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომის არჩევის წინაპირობაა I და II სემესტრის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, მაგრამ არ არის წარმოდგენილი ნაშრომის დაცვის წინაპირობა. თუმცა, სტუ-ს მაგისტრატურის დებულებაში (მუხლი 9) აღნიშნულია, რომ „სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი...“ გამომდინარე აქედან, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რათა სტუდენტისთვის პროგრამის საშუალებითაც ნათელი გახდეს დაცვის წინაპირობა.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა მნიშვნელოვანად მიიჩნია გარკვეული რჩევების გაცემა სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. კერძოდ, კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან, ასევე სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხო ენაზე“ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სასურველია განხილულ იქნეს როგორც არჩევითი სასწავლო კურსი. კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს კვლევითი პროექტი (5 ECTS) და აღნიშნული ცვლილების შესაბამისად გადანაწილდეს კვლევითი კომპონენტის კრედიტები. ასევე, სასურველია გაიზარდოს სპეციალობის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა, მაგალითად, დაემატოს კურსები „სტატისტიკური ანალიზის მეთოდები“, „აგრარული ეკონომიკა“, „კეთილდღეობის ეკონომიკა“, პრაქტიკული კურსი „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში“ და სხვა, რომელსაც მიიჩნევს რელევანტურად პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი დეპარტამენტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, (იხ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-05-04/26, 23.09.2019; (წარმოდგენილი დოკუმენტი, დანართი №3);
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №2691, 27.12.2017);
- სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი: http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/doc/ekonomika_doc_geo.pdf
- დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგი (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №14);
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/; http://social.gtu.ge/?lang=ge. http://gtu.ge/quality/;
- ინტერვიუს შედეგები (თვითშეფასების ჯგუფის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან).

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის სწავლის შედეგეზე გასვლისათვის მნიშვნელოვანია „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“ გახდეს სავალდებულო კურსი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან, ასევე, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხო ენაზე“ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სწავლების აღნიშნული საფეხურისთვის სასურველია განხილულ იქნეს როგორც არჩევითი სასწავლო კურსი.

- სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რათა სტუდენტისთვის პროგრამის საშუალებითაც ნათელი გახდეს დაცვის წინაპირობა.
- სასურველია გაიზარდოს სპეციალობის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა, მაგალითად, დაემატოს კურსები „სტატისტიკური ანალიზის მეთოდები“, „აგრარული ეკონომიკა“, „კეთილდღეობის ეკონომიკა“, პრაქტიკული კურსი „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში“ და სხვა, რომელსაც მიიჩნევს შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი დეპარტამენტი.
- კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს კვლევითი პროექტი (5 ECTS) და აღნიშნული ცვლილების შესაბამისად გადანაწილდეს კვლევითი კომპონენტის კრედიტები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ ფარგლებში შემოთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგს. სასწავლო კურსები ერთმანეთთან კანონზომიერ კავშირშია და ლოგიკური თანმიმდევრობით

განაპირობებენ პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას, მათ გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცებას. თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ ბაგისრატურის საფეხურს და პროგრამის სწავლის შედეგებს.

წარმოდგენილი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების სფეროს შესახებ სრულყოფილი ცოდნის მიღებას, პრობლემატიკის ანალიზს, კვლევითი უნარების გამომუშავებას, სტუდენტი შეიძენს აკადემიური პატიოსნების ღირებულებებს და განუვითარებს ცოდნის გაფართოების უნარს. წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში განსაზღვრული სასწავლო კურსებით მისაღწევი საწავლის შედეგი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემული სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები საწავლის შედეგების შეესაბამისია.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა სილაბუსის თემატიკის ადეკვატურია, დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის მიღწევეზე, იძლევა და სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფმა, წარმოდენილი მასალების ანალიზის საფუძველზე, საჭიროდ ჩათვალა აღნიშნულ სტანდარტში გარკვეული რეკომენდაციისა და რჩევების მიცემა, კერძოდ, რეკომენდირებულია: სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ შინაარსში განხორციელდეს ცვლილება და თვისობრივი კვლევის მეთოდებთან ერთად დაემატოს რადენობრივი კვლევის მეთოდების ანალიზიც; დაკორექტირდეს არჩევით სასწავლო კურსის „საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ბაზარზე“ სახელწოდება, შინაარსის და ლიტერატურა. კურსი ფართო სპექტრით უნდა ასახავდეს კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომელიც თავისთავად განიხილავს ანალიზს საქართველოსთან მიმართებაში. რჩევები შეეხება სასწავლო მასალის განახლებას, კერძოდ, განახლდეს დამატებითი ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ეკონომიკური განვითარება“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ და გამოყენებული იყოს უახლესი ქართულენოვანი (სტატიები, მონოგრაფიები....) და უცხოენოვანი ლიტერატურა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- გამოკითხვის შედეგები (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №14);
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შდეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგი, სამიზნე ნიშნულები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №1);
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/Learning/Magistracy.php
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის და მაგისტრანტების ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან).

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- განახლდეს დამატებითი ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ეკონომიკური განვითარება“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ და გამოყენებული იყოს უახლესი ქართულენოვანი (სტატიები, მონოგრაფიები....) და უცხოენოვანი ლიტერატურა.
- დაკორექტირდეს არჩევით სასწავლო კურსის „საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ბაზარზე“ სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა. კურსი ფართო სპექტრით უნდა ასახავდეს კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომელიც თავისთავად განიხილავს ანალიზს საქართველოსთან მიმართებაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილი სასწავლო შედეგების შესაბამისად. აღნიშნული კომპონენტი წარმოდგენილია როგორც ცალკეულ სასწავლო კურსებში გარკვეული მოცულობით ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის, ასევე, დამოუკიდებელი სასწავლო კომპონენტის (პროფესიული პრაქტიკა ეკონომიკაში, არჩევითი კურსი) სახით. სასწავლო კურსებში ძირითადი საათობრივი დატვირთვა ეთმობა სემინარულ, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ მუშაობას და შემდეგ აქტივობებს: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია-დებატები, ახსნა-განმარტება, ქმედებებზე ორიენტირებული სწავლება, პრაქტიკულ სავარჯიშოებზე მუშაობა,

გონებრივი იერიში, შემთხვევის შესწავლა, სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა, ჯგუფური მუშაობა და სხვა. ზოგიერთ სასწავლო კურსში გათვალისწინებულია სწავლების და შეფასების ისეთი მეთოდები როგორიც არის წყაროზე, წერითი, ვერბალური-ზეპირიტყვიერი მუშაობა და ა.შ., რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებას. ყოველივე აღნიშნული სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს სპეციფიკური პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც საფუძველს შეუქმნის კურსდამთავრებულს მოახდინოს რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტირება.

პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში მნიშვნელოვანია პროგრამაში წარმოდგენილი საწარმოო პრაქტიკის კურსი (5 ECTS). სამაგისტრო პრაქტიკის სასწავლო კურსი მოიცავს 15 კვირას, კვირაში 3 საათი. პრაქტიკის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა, აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნა და უნარი გამოიყენოს პრაქტიკაში, გამოიმუშაოს პრაქტიკული და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები და პასუხისმგებლობის აღება შესრულებული სამუშაოს კონკრეტულ ნაწილზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან ინიშნება პრაქტიკის ხელმძღვანელები, რომლებიც პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკის დაწყებამდე, მოსამზადებელ სამუშაოს ეწევიან სტუდენტთა მისაღებად. მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელთან. პრაქტიკის ობიექტზე, მაგისტრანტის ოპერატიული მხარდაჭერისა და კონტროლის მიზნით, პერსონალიდან ინიშნება ხელმძღვანელი, რომელიც სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) და გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის შესაბამისად. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტი: აწარმოებს პრაქტიკის დღიურს; აღწერს შესრულებულ სამუშაოებს და იმ სიახლეებს, რასაც გაეცნო პრაქტიკის მიმდინარეობისას; ინიშნავს საჭირო მონაცემებს, აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს; სტუდენტი პრაქტიკის განმავლობაში შესწავლილი და შესრულებული სამუშაოს მიმოხილვას წარმოადგენს პრქატიკის ანგარიშის სახით. პრაქტიკა ორგანიზდება, მიმდინარეობს და ფასდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისსტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესის შესაბამისად https://gtu.ge/StudyDep/Files/Pdf/praqtika_18_SD.pdf

ექსპერტთა ჯგუფმა წრმოადგინა გარკვეული მოსაზრება პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით (იხ. ქვესტანდარტში 2.2 რეკომენდაცია), რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკაში სამაგისტრო პრაქტიკის კურსის სავალდებულო კურსად გადატანას, ვინაიდან, სწავლის შესაბამისი დონეზე შდეგების მიღწევისთვის იგი აუცილებელი პირობაა.

პროგრამა სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას (40 ECTS). სამაგისტრო ნაშრომი აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს სტუდენტის მიერ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, კვლევითი ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის (პრეზენტაციის) უნარ-ჩვევებს. აღნიშნული ნაშრომი ახდენს სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკულ გამოცდილების სისტემატიზებას, ავლენს კვლევითი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის ცოდნასა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარს.

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება სტუ-ში შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციის, მაგისტრატურის დებულებისა და კვლევითი კომპონენტის შეფასების წესების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებია როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ სწავლების სფეროს ღრმა თეორიული ცოდნა ან/და ამ სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. ინტერვიუებით დადგინდა, რომ ფაკულტეტზე განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, დაემატა ახალგაზრდა მარალკვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი და დეპარტამენტი გეგმავს მაგისტრანტების ხელმძღვანელები იყოს მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომმა უნდა გაიაროს პლაგიატთან დაკავშირებით შემოწმება, რომელიც ხორციელდება პროგრამით „Turnitin“.

აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მისი პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად მაგისტრანტებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია საინფორმაციო შეხვედრების, ვორქშოფების და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებით. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, ასევე გამოკითხვის შედეგებით.

სტუდენტისთვის სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები, როგორიც არის საერთაშორისო, ადგილობრივი და ერთობლივი სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების, რომლებიც ტარდება ყოველწლიურად. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სრულად ფლობენ ინფორმაციებს აღნიშნული აქტივობების შესახებ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, ინტერვიუებში მონაწილე სტუდენტები არ იყვნენ აქტიურად ჩართული სტუდენტურ კონფერენციებში. გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ მომდევნო სემესტრში დაგეგმილი აქვთ სამეცნერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღება.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა გარკვეული მოსაზრება პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით (იხ. ქვესტანდარტში 2.2 რეკომენდაცია), რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში კვლევითი პროექტის დამატებას. აღნიშნული ცვლილება სტუდენტებში კიდევ უფრო მეტად განავითარებს სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი,საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარებს.

სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტების სამეციერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა. ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში ამ მიმართულებით მუშაობა გააქტიურებულია და უახლოეს მომავალში ცენტრალიზირებული წესით განხორციელდება დეპარტამენტების მიერ წარდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებშიც აქტიურად იქნებიან ჩართულები სამივე საფეხურის სტუდენტები მ.შ. მაგისტრები.

სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფს სასურველად მიაჩნია მომზადდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სტუ-ს დებულება მაგისტრატურის შესახებ, დანართები: მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა (დანართი №1); მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი (დანართი №2); მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია (დანართი №3), (სტუ აკდემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133), (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №12);
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტი, დანართი №9);
- გამოკითვის შედეგები (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №14);
- სტუ-ს სტუდენტთა ღია საერთაშორისო კონფერენციების თეზისების კრებულები http://gtu.ge/Science/Conference/
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/Learning/Magistracy.php
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის და მაგისტრების ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან).

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს (გარკვეული ფინანსების გათვალისწინება ამ მიმართულებით) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას და სტუდენტების ჩართულობას კვლევებში.
- სასურველია მომზადდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

პროგრამის თითეულის სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსს და უზრუნველყობს სწავლის

| |
|---|
| შედეგების მიღწევას.<br>უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტების გამოკითხვის მეთოდს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების ადექვატურობის დასადგენად. აღნიშნული კითხვარი სტუდენტს საშუალებას აძლევს, შეაფასოს, თუ  რამდენად იყენებდა შესაბამისი სასწავლო კუსრსის პედაგოგი სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიებს, იღებდა თუ არა პედაგოგისაგან კონსულტაციებს და უკუკავშირს, რამდენად მიაღწია სტუდენტმა სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების საშუალებით და სხვ. ინტერვიუებმა დაადასტურებს, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო კურსებისა და შესაბამისი პედაგოგების შეფასებებში, რომელიც ტარდება ანონიმურად ყოველი სემესტრის ბოლოს ელექტრონული გამოკითხვის საშუალებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ გამოკითხვის შედეგები  (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №14);<br>○ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf<br>○ განხორციელებული შფასებების შედეგები ანალიზი: სასწავლო კურსების შეფასების ანალიზი, პედაგოგთა შეფასების ანალიზი, პროგრამაზე სწავლის კმაყოფილების ანალიზი, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №14);<br>○ სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/Learning/Magistracy.php<br>○ ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამისა ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, სამართლიანია და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების“ დამტკიცებული წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) შეფასების 100 ბალიანი სისტემით, რომელიც ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწვლო კომპონენტების ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო სასწავლო კურსის სილაბუსებში, სადაც მოცემულია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის. პროგრამაში არსებული ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, რაც სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ან მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

სტუდენტისათვის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი. უკუგება უზრუნველყოფილია. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისაგან და საგნის პედაგოგისგან, ასევე, სტუ-ს ვებ-გვერდის საშუალებით. სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ელექტრონულ უწყისს აქვს შეტყობინების ფუნქციაც, რომლის გამოყენებითაც სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის განმახორციელებელთან უშუალოდ დაამყაროს კავშირი და მიიღოს რჩევები მისი ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ. სტუდენტებთან და

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ სტუდენტი ინფორმირებულია სტუ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ.

შეფასების 100 ქულიანი სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სსწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (21 ქულა). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამაგისტრო ნაშრომს აფასებს 5-7 წევრისაგან შემდგარი კომისია. დაცვას უნდა ესწრებოდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. შეფასების ხდება შემდეგი კრიტერიუმებით: 1) საკვლევი თემის აღწერა, აქტუალურობა-მაქსიმუმ 5 ქულა; 2) კვლევის მეთოდების გამოყენება -5 ქულა, 3) საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი - 4 ქულა; 4) კვლევის შედეგების განსჯა - 4 ქულა, 5) კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება - 4 ქულა, 6) ნაშრომის წარდგენის უნარი და გაფორმების ხარისხი - 3 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით: S=4xM (ქულა), სადაც M არის კომისიის თითოეული წევრის მიერ გაკეთებული შეფასებების ჯამების საშუალო არითმეტიკული. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. სტუდენტი, რომელიც ვერ მიიღებს დაცვაზე მინიმალურ დადებით შეფასებას და/ან ჯამურად დააგროვებს (FX) ვერ ჩააბარა – 41-50, მაშინ მას უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. თუ მაგისტრი მიიღებს (F) ჩაიჭრა – 40 და ნაკლებ ქულას, მაშინ მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის/ნაშრომის შესრულების წესი წესი განთავსებულია სტუ-ს ვებ-გვერდზე:

https://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_2_2021.pdf

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგებს კომისია აფორმებს ოქმის სახით, რომელშიც აისახება კომისიის გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

სტუდენტის მიერ მომზადებული სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე უნივერსიტეტში მოქმედი პლაგიატზე შემოწმების წესის შესაბამისად.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებისა და წარმოდეგნილ დოკუმენტებში გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და გამჭირვალეა, ასევე, სტუდენტები დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სწრაფია რეაგირება პედაგოგისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №2691, 27.12.2017);
- სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი: http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/doc/ekonomika_doc_geo.pdf
- სტუ-ს მაგისტრატურის დებულება და „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“ https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/I/B/info;
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf
- გამოკითხვის შედეგები (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №14);
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/; http://social.gtu.ge/?lang=ge. http://gtu.ge/quality/;
- ინტერვიუს შედეგები (თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრები უწყვეტ რეჟიმში იღებენ ინფორმაციას სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. მათ აქვთ შესაძლებლობა უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული სისტემების მეშვეობით დროულად მიიღონ ინფორმაცია საკუთარ მიღწევებთან, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, კომუნიკაცია დაამყარონ პედაგოგთან, ადმინისტრაციასთა, იხილონ აკადემიური ჯგუფის ცხრილი და სხვა. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტების აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში, რომელიც შეეხება სასწავლო კურსების, პედაგოგების, ადმინისტრაციის მუშაობის შეფასებას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.<br>სტუ-ში დაინერგა ახალი ელექტრონული ბაზა vici.gtu.ge, რომელიც აღჭურვილია სტუდენტებს მრავალფეროვანი ფუნქციებითა და ინფორმაციით, მაგალითად: პირადი ინფორმაცია, სწავლების სემესტრი, GPI, გავლილი კრედიტების რაოდენობა, სასწავლო პროგრამა, შეფასება-სასწავლო ბარათი, სასწავლო კურსის სილაბუსები, ინფორმაცია ცხრილების შესახებ, სტუდენტს შეუძლია მიიღოს შეტყობინება ლექტორისაგან ან ადმინისტრაციისგან, აკონტროლოს პირადი ფინანსურ მდგომარეობა, მიიღოს მონაწილეობა სტუდენტურ გამოკითხვებში, იხილოს შეფასებები და მიიღოს სხვა მომსახურება. მაგისტრებთან და კურსდამთავსებულებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ |

ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნული ელ.სისტემის საშუალებით მიღებული მომსახურებით და მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ ინფორმაციის დროული მიღებით.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარია წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკის მუშაობის სისტემა მოქნილია და მორგებულია სტუდენტის მოთხოვნებზე. სტუდენტებს, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლიტერატურა შეუძლიათ მიიღონ, სახლიდანაც, ასევე, მიიღონ ელექტრონულად, კერძოდ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სტუდენტები ახდენენ კომუნიკაციას ბიბლიოთკასთან მათთვის სასურველი ლიტერატურის მიღებასთან დაკავშირებით. ინტერვიუების დროს მაგისტრები კმაყოფილებას გამოხატავდნენ ბიბლიოთეკის მიერ გაწეული მომსახურებით, ასევე, დადებითად შეაფასეს პანდემიის დროს ონლაინ განხორციელებული სასწავლო პროცესის წარმართვა.

ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გრძნობენ ყოველმხრივ მხარდაჭერას უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და პედაგოგების მხრიდან, ღებულობენ ლექტორთან დამატებით კონსულტაციებს. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ დროულად აქვთ ინფორმაცია შეფასებების და აპელაციების შესახებ, თუმცა ამ მექანიზმის გამოყენება მათ არ დასჭირვებიათ. ხშირად იღებენ ინფორმაციას დასაქმებასა და საერთაშორისო გაცვლით პროექტებთან დაკავშირებით, მაგრამ პირადი სურვილით არ მიიღეს მონაწილეობა აღნიშნულ პროექტებში.

მაგისტრები აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის შემუშავების პროცესში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას სასწავლო კურსი პროფესიული პრაქტიკა ეკონომიკაში სტუდენტთა ინიციატივით გადაიტანეს სავალდებულოდან არჩევით კურსში.

სტუდენტები მუდმივად ღებულობენ ინფორმაციას კვლევით პროექტებთან, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების შესახებ. უნივერსიტეტმა წარმოადგინა კონფერენციების მასალები, სადაც სტუდენტებიც იღებენ მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სამგისტრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №2691, 27.12.2017);
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/;
- ინტერვიუს შედეგები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, მაგისტრების ხელმძღვანელებთან, მაგისტრებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მაგისტრანტების ხელმძღვანელები არიან მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გამოცდილება. აღნიშნული დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით. მაგისტრანტს ნაშრომის ხელმძღვანელი ენიშნება სამეცნიერო კვლევითი თემატიკის შესაბამისად. პროფესორს შეუძლია უხელმძღვანელოს 3 სტუდენტს ასისტენტსა და ასოცირებულ პროფესორს კი 2 სტუდენტს. მაგისტრანტის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან შეთანხმებით ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას, სადაც უნდა იყოს მითითებული სამაგისტრო ნაშრომის დასახელება, სავალდებულო და არჩევითი საგნების/მოდულების/კონცენტრაციების ჩამონათვალი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებები.<br><br>მაგისტრატურის დებულებაში აღწერილია სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის ფუნქციები. მაგისტრანტის ხელმძღვანელი წარმართავს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვისათვის მომზადებას. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა შეიმუშაოს ხელმძღვანელთან ერთად პერსონალური გეგმა, მაგისტრანტი პერსონალური გეგმის დრაფტი დევს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერზე.<br><br>როგორც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ და იღებდნენ კონსულტაციებს ხელმძღვანელებისაგან ხელმძღვანელთან,<br><br>უნივერსიტეტს აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია, სადაც დეტალურად არის აღწერილი სამაგისტრო ნაშრომის შედგენისა და გაფორმების ინსტრუქცია. ასევე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, სადაც აღწერილია სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის შეფასების სტრუქტურა, ასევე სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი.<br><br>ხელმძღვანელთან მაგისტრანტებისთვის განკუთვნილი კონსულტაციების დრო და ადგილი განთავსებულია შესაბამის დეპარტამენტებში. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია საკვლევი თემის სპეციფიკასა და მაგისტრანტის საჭიროებებზე. ინტერვიუების დროს სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღავანელების მიმართ და აღნიშნავენ, რომ კონსულტაციები ხდება არამარტო განრიგის შესაბამისად, არამედ საჭიროებიდან გამომდინარე. ამავე დროს, ხელმძღვანელები ეხმარებიან მათ კონფერენციების, ფორუმების, |

სიმპოზიუმების და სხვა მასალების მომზადების ფარგლებშიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ, აკადემიური საბჭოს დადგენილება, №01-05-04/133, 14.08.2020.
- სტუ-ს დებულება მაგისტრატურის შესახებ, დანართები: მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა (დანართი №1); მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი (დანართი №2); მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია (დანართი №3), (სტუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133), (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №12);
- სტუ-ს და ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/; http://social.gtu.ge/?lang=ge
- ინტერვიუს შედეგები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, მაგისტრების ხელმძღვანელებთან, მაგისტრებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და მიზნების მიღწევას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პროცესში ჩართულია 30 პერსონალი. მათგან 27 აფილირებული აკადემიური პერსონალი: 13 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი და 3 მოწვეული ლექტორი, თუმცა ბოლო პერიოდში ჩატარებული კონკურსის შედეგად უნივერსიტეტმა მინიმუმამდე დაიყვანა მოწვეული პერსონალის რაოდენობა. დამატებით სტუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ პროგრამაში ჩართულია მხოლოდ ერთი მოწვეული

ლექტორი.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უსდ-ს მიერ შემუშავებული პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს ყოველსემესტრულად პერსონალის დატვირთვის სქემის მომზადებას, ასევე, მხედველობაში მიიღება დატვირთვა სხვა უსდ-ში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“, რომელიც გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპებზეა დაფუძნებული. უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის პროფესიული განვითარების წესი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობენ პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. თვითშეფასებაში დანართად წარმოდგენილი იყო აკადემიური საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის N2092 დადგენილება, სადაც მოცემულია, რომ „პროგრამის ხელმძღვანელი როგორც წესი, შეიძლება იყოს უნივერსიტეტის სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესორი“, თუმცა ინტერვიუს დროს უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის #01-05-04/163 დადგენილებით დამტკიცებული დოკუმენტი „სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“, სადაც მოცემულია რომ „საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის/მიმართულების/დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი“.

პროგრამის ხელმძღვანელების გამოცდილება და სამეცნიერო კვალიფიკაცია უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისათვის კონკურენტულ გარემოს და კოლეგიალურ ატმოსფეროს შექმნას. ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ პროგრამის განვითარებას, მონაწილეობენ პოტენციური სტუდენტების მოზიდვის აქტივობებში, ახორციელებენ ინფორმაციის გაცვლას ფაკულტეტთან, სტუდენტებთან, თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობენ პროგრამის შეფასებაში და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ახორციელებენ ცვლილებებს ფაკულტეტთან თანამშრომლობით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“, 2021 წლის 30 ივნისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) ერთობლივი სხდომის დადგენილება № 01-05-17/07, 30.06.2021.
- „სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ; 2021 წლის 8 ნოემბრის დადგენილება „სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის’ შესახებ, სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №2092, 20.07. 2016;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №5.1);

- აკადემიური პერსონალის შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №5.3);
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი: http://social.gtu.ge/
- ინტერვიუს შედეგები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. პერსონალის შეფასების პროცესის სრულყოფისათვის უნივერსიტეტში დანერგილია პერსონალის ყოველსემესტრული შეფასება. პროგრამის ხელმძღვანელები ინტენსიურად მართავენ შეხვედრებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

სტუ-ში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. მეცადინეობების ხარისხის შეფასების პროცესი წარიმართებოდა მეცადინეობის ვიდეო ჩანაწერის შესწავლით. შემოწმების პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ კომისიის თავმჯდომარე (ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი) წერილობით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გადის ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს აქტიურად უტარდებოდათ მრავალფეროვანი ტრენინგები სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების სისტემის, სწავლის შედეგების გაწერის და სხვა მნიშვნელოვან აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ემსახურება მათი პროფესიული და სწავლების უნარის განვითარებას.

კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულია ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, გამოიცემა საკონფერენციო მასალების კრებული. ასევე ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ყოველკვერტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი “ბიზნეს ინჟინერინგის“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი.

უნივერსიტეტში დაინერგა ახალი „სტუ-ს აკადემიურ, მოწვეულ პროფესორთა და მასწავლებელთა პერსონალის მიერ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სტუ-თვის მნიშვნელოვან სხვა საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასების კრიტერიუმები“, რომელიც გამოიყენება პერსონალის განვითარების, წახალისების ან შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. შეფასების სისტემა (სულ დაგროვებული ქულების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა შეადგენს – 100 ქულას. მათ შორის: აქტივობისათვის აკადემიურ საქმიანობაში – 40 ქულა; აქტივობისათვის მეცნიერების ხაზით – 40 ქულა; აქტივობისათვის სხვა საქმიანობაში – 20 ქულა) გულისხმობს, როგორც პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების, ასევე კვლევითი აქტივობის, პროგრამის განვითარებაში ჩართულობის, პროფესიული განვითარებისა და სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლების ურთიერთშეჯერებას. შეფასების სისტემის განახლების პარალელურად სასურველია გაძლიერდეს მხარდაჭერის მექანიზმები აკადემიური პერსონალის კვლევითი მიმართულებით განვითარებისთვის.

სტუ-ს აკადემიური და მოწვეულ პერსონალი ყოველწლიურად ახდენს ანკეტა-კითხვარის ფორმით საკუთარი მიღწევების ანგარიშს (თვითშეფასებას) გასული კალენდარული წლის შედეგების მიხედვით, ხოლო სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის საკითხის ინიცირების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი) ხელმძღვანელს, რომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებგვერდზე აღნიშნული ბაზიდან პერსონალის მეცნიერული აქტივობის შესახებ ინფორმაციას პერიოდულად აფასებს

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შეფასების შედეგებს აცნობს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. აღინიშნა, რომ აკადემიური პერსონალი იმყოფებოდა ავსტრიაში, პორტუგალიაში, თურქეთში, ბელარუსში და სხვ. ბოლო წლებში პროგრამის ფარგლებში მოხდა სახელმძღვანელოების დაფინანსება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №5.1);
- პერსონალის პროფესიული განვითარების წესი, სტუ-საკადმიური საბჭოს დადგენილება, №01-05-04/245, 23.09.2011;
- ვებ-გვერდი - „პროფესიული განვითარების ცენტრი“, (http://hpep.ge/ge/);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია;
- ბონუსის გაცემის წესი, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №13);
- აკადემიური პერსონალის შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №5.3);
- „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“, სტუ-ს რექტორის ბრძანება №42, 28.03.2016;
- ტრენინგებსა და სემინარებზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/;
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გაძლიერდეს მხარდაჭერის მექანიზმები აკადემიური პერსონალის კვლევითი მიმართულებით განვითარებისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ბონუსების (წახალისების) სისტემა

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუ მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს გაწევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნვეყოფას. კონსორციმში მონაწილეობით სტუ-ის მიეცა შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა, ამასთან, სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review.

სტუ უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. პროგრამაში აქტიურად არის ჩართული საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტთან არსებული ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია, სადაც სტუდენტები ატარებენ ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს სხვადასხვა სასწავლო კურსებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება პლატფორმა zoom-ის გამოყენებით;
- სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა https://gtu.ge/Library/;
- საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" http://opac.gtu.ge/ ;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://gtu.ge/
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/;
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამისა და ფაკულტეტის ბიუჯეტით. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია მხოლოდ აკადემიური პერსონალის ხელფასებზე, სამდივნოს, ადმინისტრაციისა და მომსახურების ხარჯებზე. ფაკულტეტის ბიუჯეტში დამატებით წარმოდგენილია ასევე სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში დამატებით მოწოდებული იქნა ახალი პროგრამის ბიუჯეტის პროექტი, სადაც უკვე ჩართულია ასევე იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში პუბლიკაციების ხარჯები, ამასთან, 0,66-ჯერ არის გაზრდილი პროგრამის ბიუჯეტი.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კვლევითი მიმართულებით დაფინანება დამატებით ხორციელდება **ცენტრალიზებული წესით** უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტიდან, ასევე, ფაკულტეტზე შექმნილი სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი „სახელმწიფო, სამართალი, კულტურა“ კლასტერიდან. სტუ-ს რეორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნა გრანტების ოფისი, რომელიც ხელს უწყობს პერსონალს პროექტების შემუშავებასა და დაფინანსების წყაროების მოძიებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის და ფაკულტეტის ბიუჯეტი (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №11);
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან აკადემიურ პერსონალთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ფაკულტეტზე ახლადშექმნილი გრანტების ოფისი

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახურის ძირითადი ამოცანებია: უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება საქმიანობის სრულყოფის მიზნით, სწავლის, სწავლების, კვლევისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმების სრულყოფა და თვითშეფასების მუდმივი განხორციელება, უნივერსიტეტში ბოლონიის პროცესის პრინციპების დანერგვა და განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა და უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრასმების აკრედიტაციის პროცესების ორგანიზება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას.

უსდ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: დაინტერესებული პირების - სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და დამსაქმებლების გამოკითხვა შესაბამისი კითხვარების საფუძველზე. სამსახური ასევე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყოველწლიური

სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასებას, რომელიც ხორციელდება სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანალიზის საფუძველზე. უსდ-ს შემუშავებული აქვს „პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ავტომატიზებული სისტემა“. აღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც პედაგოგის კომპეტენტურობა, ასევე, მისი საქმიანობა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით და სამეცნიერო მუშაობა. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარების მიმართულებით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. უნივერსიტეტის მიერ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტაცია, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია ცხადჰყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება: http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 დადგენილება, № 01-05-04/108; 17.04.2017.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №4);
- განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზი და პროგრამაში გამოყენება;
- სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი;
- სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების წესი
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, (იხ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-05-04/26, 23.09.2019; (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №3);
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/
- ინტერვიუს შედეგები (თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის დაინტერესებული მხარეების შეფასებასა და გარე ექსპერტის შეფასებას. ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნა გარე ხარისხის შეფასების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვა და საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა. 2012 წელს გავლილი სააკრედიტაციო პროცესის შედეგად და პერიოდული შეფასების მექანიზმების გამოყენებით მიღებული რეკომენდაციები გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, კურიკულუმის დახვეწის, პროგრამის შინაარსობრივი ცვლილებებისა და მიზნებისა და შედეგების განვითარების მიმართულებით.<br>განვითარების ციკლის უწყვეტობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება: http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 დადგენილება, № 01-05-04/108; 17.04.2017.;
- განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზი და პროგრამაში გამოყენება;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, (იხ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-05-04/26, 23.09.2019; (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №3);
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/; http://gtu.ge/quality/
- ინტერვიუს შედეგები (თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლის, ფაკულტეტზე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ხარისხის შეფასებისა და აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების პროფესიული მომზადების შეფასების მიმართულებით. შეფასებისა და განვითარების მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები  აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. გარდა ამისა, ხორციელდება სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგიალური დასწრების საშუალებით, ასევე, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს, ამასთან, ხორციელდება პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლისა და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიმართულებით. შესაბამისი  მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება.

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით გაზიარებულ იქნა გარე შემფასებლებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და პოლონეთის უნივერსიტეტს. პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი, სწავლა-სწავლების მეთოდები, ფოკუსი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებზე, ადამიანური რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეფასდა დადებითად და დაიმსახურა პოზიტიური გამოხმაურება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ასევე განხორციელდა ადგილობრივი მსგავსი პროგრამების შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამის დადარება საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან. აღსანიშნავია პროგრამის სიახლოვე მოკვლეულ უცხოურ ანალოგებთან, განსაკუთრებით პროგრამის სასწავლო კომპონენტებთან მიმართებით. თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება, ასევე გაზიარებულ იქნა დარგის შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკა, თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; (წარმოდგენილი დოკუმენტი, დანართი №4);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება: http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 დადგენილება, № 01-05-04/108; 17.04.2017.;
- განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზი და პროგრამაში გამოყენება;
- პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №14);
- კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პედაგოგთა შეფასების ანალიზი, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №14);
- საგანმანათლებლო პროგრამის გამოხმაურება - გარე კოლეგიალური შეფასებები, (წარმოდგენილი დოკუმენტი, დანართი №8);
- საგანმანათლებლო პროგრამის ადგილობრივი და საერთაშორისო ანალოგების ანალიზის შედეგები, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №8);
- სტუ-ს ვებ-გვერდი: https://gtu.ge/
- ინტერვიუს შედეგები (თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:** ეკონომიკა, მაგისტრატურა

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:** 47

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარინა ჩავლეიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

რუსუდან სეთურიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკატერინე მიქელაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ თავხელიძე